



256-01-4-201411271739



**საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის  
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**

№ 01-256; 27/11/2014

ქ. თბილისი

**საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის, მინისტრის პირველი მოადგილისა და მინისტრის მოადგილეების უფლებამოსილებათა განსაზღვრის შესახებ**

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, „საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 16 ნოემბრის № 206 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. განესაზღვროთ საგარეო საქმეთა მინისტრს, მინისტრის პირველ მოადგილესა და მინისტრის მოადგილეებს კომპეტენციის სფეროები და დაექვემდებაროთ:

ა) საგარეო საქმეთა მინისტრს **თამარ ბერუჩაშვილს:**

- ა.ა) ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი;
- ა.ბ) შიდა აუდიტის სამსახური;
- ა.გ) დიპლომატიური პროტოკოლის დეპარტამენტი;
- ა.დ) საიდუმლო საქმისწარმოების სამმართველო;

ბ) მინისტრის პირველ მოადგილეს **დავით დონდუას:**

- ბ.ა) პოლიტიკური დეპარტამენტი;
- ბ.ბ) საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტი;
- ბ.გ) ამერიკის დეპარტამენტი;
- ბ.დ) უსაფრთხოების პოლიტიკისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტი;
- ბ.ე) პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი;

გ) მინისტრის მოადგილეს **ჯალალანას:**

- გ.ა) აზიის, აფრიკის, ავსტრალიის და ოკეანეთის ქვეყნების დეპარტამენტი;
- გ.ბ) საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა დეპარტამენტი;
- გ.გ) დსთ-ს ქვეყნებთან ურთიერთობების დეპარტამენტი;
- გ.დ) ევროპულ საქმეთა დეპარტამენტის მეზობელი ქვეყნებისა და სუამ-ის სამმართველო;
- გ.ე) ევროპულ საქმეთა დეპარტამენტის საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციის, დემარკაციის და სასაზღვრო ურთიერთობათა სამსახური.

დ) მინისტრის მოადგილეს **გიგი გიგიაძეს**:

- დ.ა) ევროინტეგრაციის დეპარტამენტი;
- დ.ბ) ევროპულ საქმეთა დეპარტამენტის დასავლეთ ევროპის სამმართველო;
- დ.გ) ევროპულ საქმეთა დეპარტამენტის აღმოსავლეთ ევროპის სამმართველო;
- დ.დ) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო ცენტრი;

ე) მინისტრის მოადგილეს **ხათუნა თოთლაძეს**:

- ე.ა) საერთაშორისო კულტურულ და ჰუმანიტარულ ურთიერთობათა დეპარტამენტი;
- ე.ბ) საერთაშორისო სამართლებრივი დეპარტამენტი;
- ე.გ) იურიდიულ საკითხთა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტი;
- ე.დ) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა თარგმნის ბიურო;

ვ) მინისტრის მოადგილეს **ვლადიმერ გურგენიძეს**:

- ვ.ა) საკონსულო დეპარტამენტი;
- ვ.ბ) ადმინისტრაციული დეპარტამენტი;
- ვ.გ) ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური;

2. „საპარლამენტო მდივნის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საპარლამენტო მდივნის უფლებამოსილებათა განხორციელება დაევალოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს **ხათუნა თოთლაძეს**. მანვე უზრუნველყოს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციასა და მთავრობის კანცელარიასთან სამინისტროს ურთიერთობის კოორდინაცია.

3. „დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაცია - სუამის“ ეროვნული კოორდინატორობა დაევალოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს **დავით ჯალაღანიას**.

4. მეზობელ ქვეყნებთან საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაციის პროცესის მიმდინარეობის კოორდინაცია დაევალოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს **დავით ჯალაღანიას**.

5. უსაფრთხოებისა და სტაბილურობის, ასევე ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირებთან დაკავშირებულ საკითხებზე ჟენევაში მიმდინარე მოლაპარაკებებში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლობა დაევალოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილეს **დავით დონდუას**.

6. თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საერთაშორისო ორგანიზაციებთან ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში თანამშრომლობის კოორდინაცია დაევალოს საგანგებო დავალებათა ელჩს, **ირაკლი გიგიაშვილს**.

7. საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ და მოადგილეებმა, უფლებამოსილებათა და კომპეტენციის სფეროების მიხედვით, განახორციელონ დაქვემდებარებული დეპარტამენტების საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობა.

8. საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე და მოადგილეები:

- ა) წარმოადგენენ საგარეო საქმეთა სამინისტროს;
- ბ) ხელს აწერენ და ვიზირებას უკეთებენ სამსახურებრივ დოკუმენტებს;
- გ) საგარეო საქმეთა მინისტრის წინაშე ანგარიშვალდებულნი არიან დაქვემდებარებული დეპარტამენტების მუშაობის წარმართვისათვის;
- დ) ასრულებენ საგარეო საქმეთა სამინისტროს დებულებით განსაზღვრულ ფუნქციებსა და მინისტრის ცალკეულ დავალებებს.


9. საგარეო საქმეთა მინისტრის, მინისტრის პირველი მოადგილის და მინისტრის მოადგილეების არყოფნის შემთხვევაში ერთმანეთს ცვლიან:

- ა) თამარ ბერუჩაშვილს – დავით დონდუას;
- ბ) დავით დონდუას – დავით ჯალაღანია;
- გ) დავით ჯალაღანიას – ხათუნა თოთლაძე;
- დ) ხათუნა თოთლაძეს – გიგი გიგიაძე;
- ე) გიგი გიგიაძეს – დავით ჯალაღანია;
- ვ) ვლადიმერ გურგენიძეს – დავით ჯალაღანია.

10. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილისა და მინისტრის მოადგილეების უფლებამოსილებათა განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2014 წლის 11 სექტემბრის № 01-170 ბრძანება.

11. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

თამარ ბერუჩაშვილი



საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი